საქართველოს კანონი

შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ

მუხლი 1. კანონის მიზანი და ამოცანები

1. ამ კანონის მიზანია შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლების შექმნა ისეთი საქმიანობის ან/და ქმედებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანისა და შინაური ბინადარი ცხოველისათვის უსაფრთხო საარსებო გარემოს შექმნას.

2. ამ კანონის ამოცანებია:

ა) შინაური ბინადარი ცხოველისა და ადამიანის დაცვა სხვა შინაური ბინადარი ცხოველისგან მომდინარე საფრთხეებისგან;

ბ) შინაურ ბინადარ ცხოველთა დაცვა არასათანადო და სასტიკი მოპყრობისაგან;

გ) შინაურ ბინადარ ცხოველთა მოვლა-პატრონობისა და პოპულაციების მართვის ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების დანერგვა.

მუხლი 2. კანონის რეგულირების სფერო

1. კანონის რეგულირების სფეროს განეკუთვნება:

ა) შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა;

ბ) შინაურ ბინადარ ცხოველთა მიკვლევადობის უზრუნველყოფა;

გ) შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში უფლებამოსილი ორგანოების კომპეტენციების განსაზღვრა;

დ) შინაურ ბინადარ ცხოველთა მეპატრონისა და მიმკედლებლის ვალდებულებების განსაზღვრა;

ე) შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში მომსახურებასთან დაკავშირებული სუბიექტებისათვის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა;

ვ) შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი, კატა) პოპულაციების მართვა;

2. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ფერმერულ და გარეულ ცხოველებზე.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის, ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) შინაური ბინადარი ცხოველი (შემდგომში ცხოველი) – პატრონიანი/უპატრონო/უმეთვალყურეო ცხოველი ან მიკედლებული ძაღლი, კატა რომელიც გამოიყენება სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ფუნქციური დანიშნულებით და რომელიც არ არის განკუთვნილი სურსათის (მათ შორის, ხორცის, რძისა და კვერცხის), ბეწვის, ბუმბულის, ტყავის და სხვა ნებისმიერი ცხოველური პროდუქტის საწარმოებლად;

ბ) შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე (შემდგომში მეპატრონე) - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც საკუთრებაში ჰყავს შინაური ბინადარი ცხოველი და უზრუნველყოფს მის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას, მოვლა-პატრონობასა და ვეტერინარულ მომსახურებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) პატრონიანი შინაური ბინადარი ცხოველი - ცხოველი, რომელსაც ჰყავს მეპატრონე და კონკრეტული მომენტისთვის ეს პირი ან მის მიერ უფლებამოსილი სხვა პირი ფლობს მას, როგორც საკუთარს, ან რეგისტრირებულია, როგორც საკუთრება;

დ) უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველი - ცხოველი, რომელიც იმყოფება მეპატრონის მეთვალყურეობის გარეშე და ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანის შემდგომ არ დაუდგინდება მეპატრონე, ასევე ცხოველი, რომელიც რეგისტრირებულია, როგორც პატრონიანი ცხოველი, თუმცა მეპატრონის გარდაცვალების ან მეპატრონის ნების საფუძველზე მასზე აღარ ხორციელდება მეთვალყურეობა;

ე) მიკედლებული შინაური ბინადარი ცხოველი – გარკვეულ ტერიტორიაზე თავისუფლად ბინადარი ძაღლი ან კატა, რომლის მეთვალყურეობას უზრუნველყოფს მიმკედლებელი;

ვ) უმეთვალყურეო შინაური ბინადარი ცხოველი (ძაღლი, კატა) - ცხოველი, რომელსაც დროის კონკრეტულ მონაკვეთში არ უდგინდება მეპატრონე ან მიმკედლებელი, ასევე, გადაადგილდება მეპატრონის უძრავი ქონების საზღვრებს მიღმა და მეპატრონის ან მიმკედლებლის დადგენის მიზნით ხორციელდება ცხოველის თავშესაფარში გადაყვანა;

ზ) შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი, კატა) მიმკედლებელი (შემდგომში მიმკედლებელი) – გარკვეულ ტერიტორიაზე თავისუფლად ბინადარი ძაღლის ან კატის მეთვალყურე ფიზიკური ან იურიდიული პირი (ან პირები), რომელსაც უფლებამოსილ ორგანოში შინაური ბინადარი ცხოველის რეგისტრაციის მომენტიდან აქვს აღებული ვალდებულება მისი კვება-დაწყურვებისა და ვეტერინარული ზედამხედველობის შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფაზე;

თ) შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობა - ცხოველის მოვლა-პატრონობისათვის საჭირო პირობების შექმნა, რომელიც მოიცავს ცხოველის საკვებისა და წყლის ხელმისაწვდომობას, დაავადებისაგან, ტკივილისა და ტანჯვისაგან მის დაცვას;

ი) შინაური ბინადარი ცხოველის მოვლა-პატრონობა – შინაური ბინადარი ცხოველისთვის აუცილებელი საარსებო პირობების შექმნა: მისი კვება-დაწყურვება, საცხოვრებელი ფართობის გამოყოფა შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით, რეგულარული გასეირნება, ვეტერინარული ზედამხედველობის უზრუნველყოფა დაავადებების პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, ცოფის და სხვა საშიში დაავადებების საწინააღმდეგო დროული ვაქცინაცია, ვეტერინარული მკურნალობა და შინაური ბინადარი ცხოველის წვრთნა სოციალიზაციის ვალდებულებით, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა პირობების უზრუნველყოფა;

კ) შინაური ბინადარი ცხოველის სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობები - შესაბამისი დოკუმენტებით დადასტურებული შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონის ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობა, სოციალურად დაუცველის სტატუსის მიღება, საცხოვრებელი პირობების მკვეთრი გაუარესება, რაც შეუძლებელს ხდის შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით შინაური ბინადარი

ცხოველისთვის საცხოვრებელი ფართობის გამოყოფას, არანაკლებ ექვსი თვის ვადით ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრება, შინაური ბინადარი ცხოველისგან მეპატრონის ხანგრძლივი პერიოდით იძულებითი მოცილება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ლ) შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი, კატა) მეპატრონის დადგენის ან ახალი მეპატრონის მოსაძიებლად აუცილებელი ღონისძიებები - იდენტიფიკაციის საშუალების არსებობის შემთხვევაში - შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი, კატა) ამოცნობა, ოპტიმალურ ვადებში მისი ფოტოსურათების და მის შესახებ დეტალური ინფორმაციის (სახეობა, სქესი, ასაკი, ჯიში, გაწეული ვეტერინარული მომსახურება, მონაცემები მეპატრონისა და შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი, კატა) მოვლა-პატრონობის პირობების შესახებ და სხვა) განთავსება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს ვებ-გვერდსა ან/და სოციალურ ქსელებში;

მ) კინოლოგიური დაწესებულება - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული პირი, რომელიც ახორციელებს საკონსულტაციო მომსახურებას, წვრთნის ძაღლს, აწყობს ძაღლების გამოფენას და უზრუნველყოფს სხვა სახის მომსახურებას შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში.

ნ) ფელინოლოგიური დაწესებულება - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული პირი, რომელიც ახორციელებს საკონსულტაციო მომსახურებას, წვრთნის კატას, აწყობს კატების გამოფენას და უზრუნველყოფს სხვა სახის მომსახურებას შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში.

ო) ვეტერინარული დაწესებულება - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული პირი, რომელიც ახორციელებს ვეტერინარულ მომსახურებას;

პ) შინაური ბინადარი ცხოველის ევთანაზია - უფლებამოსილი პირის (ვეტერინარის ან ვეტერინარი ტექნიკოსის) მიერ შინაური ბინადარი ცხოველისათვის სიცოცხლის შეწყვეტა, რაც თავისი შინაარსით გულისხმობს შინაური ბინადარი ცხოველების ჰუმანურად, მყისიერად და უმტკივნეულოდ მოკვდინებას სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებებით, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებებითა და ისეთი პრეპარატების გამოყენებით, რაც შინაურ ბინადარ ცხოველს მიაყენებს მცირე ფიზიკურ ტკივილს, ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში;

ჟ) შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი, კატა) იდენტიფიკაცია - შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი, კატა) ნიშანდება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს, შესაბამისი ვეტერინარული დაწესებულების, შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრის ან საშენის მიერ მიკროჩიპით ან საყურე ნიშნით (საჭდე);

რ) შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი, კატა) რეგისტრაცია – მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს, შესაბამისი ვეტერინარული დაწესებულების, შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრის ან საშენის მიერ იდენტიფიცირებული შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი, კატა) შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ერთიან ბაზაში შეტანა, ასევე, სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანა;

ს) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო - მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი იურიდიული პირი, რომლის კომპეტენციას განეკუთვნება შინაურ ბინადარ ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, მეპატრონისა და მიმკედლებლისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვაზე მონიტორინგის განხორციელება, პოპულაციების მართვის ორგანიზება, აღრიცხვა, ადამიანისა და შინაური ბინადარი ცხოველის თანაარსებობის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორცილება;

ტ) სააგენტო - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო, რომლის კომპეტენციას განეკუთვნება ვეტერინარულ დაწესებულებაში, თავშესაფარში, საოჯახო ტიპის დროებით თავშესაფარში, სარეალიზაციო ობიექტში, დროებითი მოთავსების ობიექტში (სასტუმრო), საშენსა და კინოლოგიურ/ფელინოლოგიურ დაწესებულებებში ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულების კონტროლი.

უ) მარეგისტრირებელი ორგანო - მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო, ვეტერინარული დაწესებულება, შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარი და საშენი, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით ახორციელებს შინაური ბინადარი ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას შინაურ ბინადარ ცხოველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში;

ფ) საბელი - შინაური ბინადარი ცხოველის გადაადგილების კონტროლის საშუალება, რომელიც ზღუდავს მეპატრონის ან თანმხლები პირისგან შინაური ბინადარი ცხოველის დაცილების შესაძლებლობას;

ქ) ალიკაპი - მოწყობილობა, რომელიც ძაღლს უმაგრდება დრუნჩზე, ან თავზე და განკუთვნილია სხვა ცხოველისა და ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

ღ) შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი, კატა) გადამეტებული აგრესია - შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი, კატა) იმგვარი ქცევითი დისბალანსი, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვა ცხოველის ან/და ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და შეუძლებელს ხდის მის შემდგომ ინტეგრაციას;

ყ) შინაურ ბინადარ ცხოველთა გასეირნება - აუცილებელი ფიზიკური დატვირთვის მიზნით, მეპატრონის ან თანმხლები პირის მეთვალყურეობით, შინაური ბინადარი ცხოველის ყოფნა ღია სივრცეებში ან სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში;

შ) შინაურ ბინადარ ცხოველთა გამრავლება - შინაური ბინადარი ცხოველების შეჯვარება და რეპროდუქცია;

ჩ) შინაურ ბინადარ ცხოველთა (ძაღლი, კატა) პოპულაციის მართვა - შინაურ ბინადარ ცხოველთა (ძაღლი, კატა) კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით მათი გამრავლების შესაძლებლობის შეწყვეტა, კასტრაცია/სტერილიზაციის გზით.

ც) ფუნქციური დანიშნულების ძაღლი - სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლი, რომელიც გამოიყენება საჯარო დაწესებულებების მიერ, დაცვის, მოძიების, დივერსიული ფაქტების

აღმოფხვრის მიზნით, ასევე, ძაღლი, რომლებიც განკუთვნილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, სამონადირეო, სამწყემსო ან სხვა დანიშნულებით;

ძ) შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარი (შემდგომში თავშესაფარი) - მუნიციპალური თავშესაფარი, რომელიც უზრუნველყოფს შინაურ ბინადარ ცხოველთა პოპულაციის მართვას, უპატრონო/უმეთვალყურეო შინაურ ბინადარ ცხოველთა დროებით მოვლა-პატრონობას ან/და მეპატრონის/მიმკედლებლის მოძიებას ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული კერძო თავშესაფარი, სადაც ხორციელდება უპატრონო/უმეთვალყურეო შინაური ბინადარი ცხოველების დროებითი მოვლა-პატრონობა ან/და მეპატრონის/მიმკედლებლის მოძიება;

წ) შინაურ ბინადარ ცხოველთა საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფარი - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული პირი, სადაც გამოჯანმრთელებამდე ან ახალი მეპატრონის მოძიებამდე დროებით არის განთავსებული არა უმეტეს 15 უმეთვალყურეო, ტრავმირებული, ან დაკარგული შინაური ბინადარი ცხოველი;

ჭ) შინაურ ბინადარ ცხოველთა დროებითი მოთავსების ობიექტი (სასტუმრო) - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული პირი, რომელიც განკუთვნილია მეპატრონის მიერ მიბარებული შინაური ბინადარი ცხოველის დროებით განთავსებისთვის;

ხ) შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი, კატა) დაჭერა - კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში უფლებამოსილი ორგანოს მიერ უმეთვალყურეო შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი, კატა) ჰუმანური მეთოდით აყვანა და შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფარში მოთავსება ამ კანონით დადგენილი წესით;

ჯ) დეჰელმინთიზაცია - ცხოველის ორგანიზმიდან პარაზიტების გამოდევნა;

ჰ) ვაქცინაცია - დაავადებების საწინააღმდეგო ანტიგენის/ანტიგენების ცხოველის ორგანიზმში შეყვანა რიგი დაავადებების მიმართ იმუნიტეტის (ორგანიზმის დამცველობითი უნარის) შესამუშავებლად;

ჰ[1]) კასტრაცია - ხვადი შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი, კატა) გამრავლების უნარის შეწყვეტა;

ჰ[2]) სტერილიზაცია - ძუ შინაური ბინადარი ცხოველისათვის (ძაღლი, კატა) გამრავლების უნარის შეწყვეტა;

ჰ[3]) ცხოველთა ორთაბრძოლა - ცხოველის შებრძოლება თავისივე ან სხვა სახეობის ცხოველთან, შეჯიბრების ან სხვა მიზნით;

ჰ[4]) ვეტერინარული პასპორტი - შინაური ბინადარი ცხოველის დოკუმენტი, დოკუმენტები ან ერთგვარი წიგნაკი, რომელშიც ვეტერინარის ან ვეტერინარი ტექნიკოსის მიერ კეთდება ჩანაწერები ყოველწლიური ვაქცინაციის, სტერილიზაცია/კასტრაციის, ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურების შესახებ (მათ შორის ალერგიული რეაქცია, ქრონიკული ჯანმრთელობის კონდიცია, წონა) და ასევე ჩანაწერები ანტიპარაზიტული საშუალებების გამოყენების შესახებ;

ჰ[5]) მიკროჩიპი - წაკითხვადი პასიური რადიოსიხშირული იდენტიფიკაციის საშუალება, სპეციალური ინფორმაციის მატარებელი იმპლანტი, რომლის საშუალებით მონაცემთა ერთიან ბაზაში ასახულ იქნება ინფორმაცია შინაური ბინადარი ცხოველისა და მისი მეპატრონის შესახებ;

ჰ[6]) საყურე ნიშანი (საჭდე) - შინაური ბინადარი ცხოველის იდენტიფიკაციის საშუალება, რომელიც შეიცავს საიდენტიფიკაციო ნომერს და იძლევა მონაცემთა ერთიან ბაზაში შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ ინფორმაციის ასახვის შესაძლებლობას;

ჰ[7]) შინაურ ბინადარ ცხოველთა საშენი (შემდგომში საშენი) - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული პირი, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით ახორციელებს შინაურ ბინადარ ცხოველთა (ძაღლი, კატა) მიზნობრივ და გეგმაზომიერ გამრავლებას.

ჰ[8]) შინაურ ბინადარ ცხოველთა რეალიზატორი (შემდგომში რეალიზატორი) - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული პირი, რომელიც ახორციელებს შინაური ბინადარი ცხოველის გაყიდვას.

ჰ[9]) მომეტებული რისკის ჯიშის ძაღლი - ამ კანონის დანართით განსაზღვრული ჯიშის ძაღლი, რომელიც მომეტებულ საფრთხეს უქმნის სხვა ცხოველისა და ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ჰ[10]) პოტენციურად მომეტებული რისკის ჯიშის ძაღლი - მომეტებული რისკის ჯიშის ძაღლი, ასევე სხვა ძაღლი, რომელმაც შესაძლოა მომეტებული საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და რომელთა იმპორტისა და გამრავლების თაობაზე აკრძალვისა და დროებითი შემოყვანის წესები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 4. ცხოველთა კეთილდღეობის პრინციპები

1. ცხოველთა კეთილდღეობის პრინციპებია:

ა) წყალსა და საკვებზე თავისუფალი წვდომის უზრუნველყოფა;

ბ) უსაფრთხო საარსებო-პირობების უზრუნველყოფა;

გ) დაავადებათა პრევენცია ვაქცინაციისა და დროული დიაგნოსტიკის გზით;

დ) შესაბამისი სივრცის გამოყოფა და სხვა ცხოველებთან ურთიერთობის უზრუნველყოფა;

ე) სათანადო პირობების შექმნა ცხოველის ტანჯვის თავიდან ასაცილებლად.

2. ცხოველთა კეთილდღეობის პრინციპების უზრუნველყოფა შესაძლებელია განხორციელდეს საქველმოქმედო საქმიანობის გზით.

3. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაუშვებელია:

ა) ცხოველის მიტოვება, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) ცხოველის ევთანაზია, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) ამ კანონით განსაზღვრული მომეტებული რისკის მქონე ჯიშის ძაღლის გადაცემა ჯილდოს, პრიზის ან პრემიის სახით;

დ) ცხოველის საკვებად გამოყენება ან/და მისგან პრეპარატებისა და ქიმიური საშუალებების დამზადება;

ე) ავტოსაგზაო შემთხვევისას ცხოველის დაზიანების/სიკვდილის შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ აღნიშნულის თაობაზე მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოსთვის შეუტყობინებლობა.

მუხლი 5. ცხოველთა მიტოვების აკრძალვა

1. აკრძალულია ცხოველის მიტოვება გარდა ამ კანონით გათვალისწინებული ცხოველის სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების არსებობის შემთხვევებისა.
2. ცხოველის სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ისეთი ობიექტური წინაპირობების დადგომის შემთხვევაში, როგორიცაა, შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონის სოციალურად დაუცველის სტატუსის მიღება, საცხოვრებელი პირობების მკვეთრი გაუარესება, რაც შეუძლებელს ხდის შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით ცხოველისთვის საცხოვრებელი ფართობის გამოყოფას, ექვს თვეზე მეტი ვადით ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრება, მეპატრონე ვალდებულია მოუძიოს ცხოველს ახალი მეპატრონე, გადაიყვანოს თავშესაფარში ან თავშესაფარში გადაყვანის მიზნით მიმართოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების შესასრულებლად.
3. იმ შემთხვევაში, თუ მეპატრონე სოციალურად დაუცველია, ცხოველის თავშესაფარში გადაყვანის ხარჯებს ანაზღაურებს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო.

მუხლი 6. ცხოველთა მართვის სფეროში უფლებამოსილი ორგანოები

1. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს ფუნქციებია:

ა) მეპატრონის მიერ ამ კანონის მე-7 მუხლით დადგენილი ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობის განხორციელება კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში;

ბ) მიმკედლებლის მიერ ამ კანონის მე-11 მუხლით დადგენილი ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობის განხორციელება კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში;

გ) ცხოველების (ძაღლი, კატა) იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია;

დ) ცხოველების (ძაღლი, კატა) პოპულაციების მართვა;

ე) ცხოველების (ძაღლი, კატა) ანტირაბიული ვაქცინაცია;

ვ) მიკედლებული ცხოველის (ძაღლი, კატა) დაჭერის შესახებ ინფორმაციის მიმკედლებლისათვის შეტყობინება;

ზ) ცხოველების ლეშის განკარგვა;

თ) საშენის ავტორიზაცია და მის მიერ ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვაზე მონიტორინგის განხორციელება;

ი) ცხოველთა მართვის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების მიერ ამ კანონით დადგენილი კეთილდღეობისა და მოვლა-პატრონობის წესების დაცვაზე გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელება;

კ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ფუნქციების განხორციელება.

2. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია ცხოველთა დროებით განთავსების, მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის მართვის უზრუნველსაყოფად, დამოუკიდებლად ან სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად, შექმნას მუნიციპალური თავშესაფარი.

3. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო უფლებამოსილია, უპატრონო ცხოველების (ძაღლი, კატა) პოპულაციის მართვის მიზნით, კასტრაცია/სტერილიზაციის ოპერაციები განახორციელოს მის სისტემაში შემავალი თავშესაფრის მეშვეობით ან მესამე პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

4. მუნიციპალური თავშესაფარი ვალდებულია უპატრონო/მიკედლებული ცხოველების (ძაღლი, კატა) პოპულაციის მართვა განახორციელოს ამ კანონის 22-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. სააგენტოს ფუნქციებია:

ა) ცხოველთა (ძაღლი, კატა) მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის მონაცემთა ერთიანი ბაზის მართვა;

ბ) ცხოველთა მართვის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების მიერ ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაცვაზე გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელება;

გ) საბაჟო საზღვარზე ცხოველთა გადაადგილებისას ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ფუნქციების განხორციელება.

მუხლი 7. მეპატრონის ვალდებულებები

1. მეპატრონე ცხოველის სახეობისა და ჯიშის თავისებურებების გათვალისწინებით ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ცხოველის მოვლა-პატრონობა, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, ასევე, ამ კანონით განსაზღვრული უსაფრთხოების წესების დაცვა;

ბ) უზრუნველყოს ცხოველის (ძაღლი, კატა) იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია ამ კანონით დადგენილი წესით:

ბ.ა) ცხოველის დაბადებიდან ორი თვის ვადაში;

ბ.ბ) მფლობელობის დაწყებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

გ) უზრუნველყოს ცხოველის (ძაღლი, კატა) ყოველწლიური (საკონტროლო) რეგისტრაცია;

დ) აანაზღაუროს მისი ცხოველის მიერ სხვა პირებისათვის მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ცხოველთა კეთილდღეობის, მოვლა-პატრონობის და პოპულაციის მართვის ვალდებულებების ფარგლებში, მეპატრონემ უნდა უზრუნველყოს:

ა) ნარევი (მეტისი) ჯიშის ცხოველის (ძაღლი, კატა) გამრავლების შესაძლებლობის შეწყვეტა სტერილიზაცია/კასტრაციის გზით;

ბ) სამედიცინო ჩვენების საფუძველზე სტერილიზაციის/კასტრაციის მეთოდის გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში, გამრავლების უნარის შეწყვეტა ცხოველისთვის (ძაღლი, კატა) სხვა უვნებელი, საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული მეთოდით;

გ) ყოველწლიური ვეტერინარული შემოწმება, ვაქცინაცია (მათ შორის, ანტირაბიული და კომპლექსური), დეჰელმინთიზაცია და სხვა საჭირო სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება;

დ) მონადირე ჯიშის ძაღლის შემთხვევაში, წელიწადში ორჯერ ანტირაბიული ვაქცინაცია;

ე) საზოგადოებრივი სივრცის მყისიერი დასუფთავება ცხოველის მიერ ასეთი სივრცის დაბინძურების შემთხვევაში;

ვ) ცხოველის (ძაღლი, კატა) დაკარგვის/სიკვდილის შესახებ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოსთვის შეტყობინება არაუგვიანეს მომდევნო დღისა.

ზ) ცოფის პრევენციის მიზნით, ცხოველის მიერ სხვა ცხოველის ან/და ადამიანის დაკბენის/დაკაწვრის/დადორბვლის ფაქტის შესახებ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოსთვის შეტყობინება;

თ) ცხოველის მიერ სხვა ცხოველის ან/და ადამიანის დაკბენის/დაკაწვრის/დადორბვლის შემთხვევაში მასზე ვეტერინარული ზედამხედველობის დაწესება თავშესაფარში ან ვეტერინარულ დაწესებულებაში;

ი) ცხოველის დაავადების შემთხვევაში მისი დაუყოვნებლივ გადაყვანა ვეტერინარულ დაწესებულებაში;

კ) თუ ცხოველს აღმოაჩნდა სხვა ცხოველისათვის ან/და ადამიანისთვის საშიში დაავადება, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოსთვის დაუყოვნებლივ შეტყობინება.

3. მეპატრონე ვალდებულია უზრუნველყოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის შეტანა ცხოველის ვეტერინარულ პასპორტში.

4. იმ შემთხვევაში, თუ შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე სოციალურად დაუცველია, ევთანაზიის და ლეშის განკარგვის ხარჯებს ანაზღაურებს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო.

მუხლი 8. ზოგადი მოთხოვნები პატრონიანი ცხოველის საარსებო გარემოსადმი

1. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინაში სამზე მეტი შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი, კატა) ყოლა დასაშვებია ბინათმესაკუთრეთა უმრავლესობის თანხმობის საფუძველზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება ცხოველზე (ძაღლი, კატა), რომლის ასაკი არ აღემატება 2 თვეს.

3. თუ მიწის ნაკვეთი უსაფრთხოდაა შემოსაზღვრული, მეპატრონე უფლებამოსილია ძაღლი ამ ტერიტორიაზე გაუშვას ალიკაპისა და საბლის გარეშე.

მუხლი 9. მომეტებული რისკის ჯიშის ძაღლის მეპატრონის ვალდებულებები

1. ადამიანისა და ცხოველის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და ცხოველის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, მომეტებული რისკის ჯიშის ძაღლის მეპატრონე გარდა ამ კანონის მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა ვალდებულია დამატებით დაიცვას ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნები.

2. მომეტებული რისკის ჯიშის ძაღლის მეპატრონე უნდა იყოს არანაკლებ 18 წლის პირი და იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის მიზნით მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს წარუდგინოს შემდეგი ცნობები:

ა) ნასამართლობის, დანაშაულისთვის მსჯავრდების, ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე არყოფნის და ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ;

ბ) კინოლოგიური დაწესებულებიდან, მომეტებული რისკის ჯიშის ძაღლის მართვის თაობაზე შესაბამისი კურსის (მეპატრონისა და მომეტებული რისკის ჯიშის ძაღლის ერთობლივი ჩართულობით) გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კურსი უნდა მოიცავდეს არანაკლებ ოცდაოთხ გაკვეთილს, თითოეულის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს ერთ საათზე ნაკლები.

4. აკრძალულია მომეტებული რისკის ჯიშის ძაღლის გასეირნება 18 წელს მიუღწეველი პირისთვის, ასევე, საბრძოლო მიზნებისთვის წვრთნა, გარდა საჯარო დაწესებულებების საკუთრებაში არსებული ფუნქციური დანიშნულების ძაღლებისა.

მუხლი 10. მიკედლება

1. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ უზრუნველყონ უპატრონო ცხოველის (ძაღლი, კატა) მიკედლება.

2. მიკედლების საფუძველია მიმკედლებლის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია, ხოლო, მიკედლება წყდება მიმკედლებლის განცხადების საფუძველზე ან ამ კანონით დადგენილი ვალდებულებების დარღვევის მომენტიდან.

3. დაუშვებელია ცხოველის (ძაღლი, კატა) მიკედლება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, საბავშვო და სპორტული მოედნების, მეტროპოლიტენის, ბაზრის, სამედიცინო კლინიკების, ავტოსადგურების და სასაფლაოს ტერიტორიაზე.

4. ბინათმესაკუთრეთა მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის შემთხვევაში მიკედლება დასაშვებია ბინათმესაკუთრეთა უმრავლესობის თანხმობის საფუძველზე.

მუხლი 11. მიმკედლებელი

1. მიმკედლებელი შეიძლება იყო ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ასეთად რეგისტრირებულია მონაცემთა ერთიან ბაზაში.

2. ცხოველის კეთილდღეობის პრინციპების გათვალისწინებით მიმკედლებელს უფლება აქვს უზრუნველყოს მიკედლებული ცხოველის (ძაღლი, კატა):

ა) კვება/დაწყურვება;

ბ) ვეტერინარული მომსახურება;

გ) დაავადებათა პროფილაქტიკა და დიაგნოსტიკა;

დ) დაავადებათა საწინააღმდეგო ვაქცინაცია;

ე) კასტრაცია/სტერილიზაცია.

3. ცხოველის კეთილდღეობის პრინციპების გათვალისწინებით მიმკედლებელი ვალდებულია:

ა) იყოს რეგისტრირებული მიმკედლებლად მონაცემთა ერთიან ბაზაში;

ბ) უზრუნველყოს მიკედლებული ცხოველის (ძაღლი, კატა) ანტირაბიული ვაქცინაცია;

გ) მიაწოდოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს მიკედლებული ცხოველის (ძაღლი, კატა) ერთ კვირაზე მეტი ვადით გაუჩინარების ან ცხოველის (ძაღლი, კატა) სიკვდილის შემთხვევაში;

დ) მიაწოდოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს, თუ მიკედლებულ ცხოველს (ძაღლი, კატა) გამოუვლინდა სხვა ცხოველისათვის ან/და ადამიანისათვის საშიში დაავადება ან ასეთი დაავადების საეჭვო ნიშნები;

ე) ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოსა და სააგენტოს მიერ მიკედლებულ ცხოველთან (ძაღლი, კატა) დაკავშირებით ამ კანონით დადგენილი უფლებამოსილებების შეუფერხებლად განხორციელებას, მათ შორის მიაწოდოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია ცხოველის (ძაღლი, კატა) მდგომარეობის შესახებ;

ვ) მიაწოდოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიკედლებაზე საკუთარი სურვილით უარის თქმის შემთხვევაში და მიმკედლებლის სტატუსის მოხსნამდე განაგრძოს ცხოველზე (ძაღლი, კატა) მეთვალყურეობა;

ზ) მიკედლებაზე საკუთარი სურვილით უარის თქმის შემთხვევაში მიმართოს მარეგისტრირებელ ორგანოს რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით.

მუხლი 12. ცხოველთა მართვის სფეროში მონაწილე სუბიექტები

ამ კანონის მე-6, მე-7 და მე-10 მუხლებით განსაზღვრული პირების უფლებებისა და ვალდებულებების გარდა ეს კანონი, ასევე, ადგენს სამართლებრივ საფუძვლებს ცხოველთა მართვის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი შემდეგი სუბიექტებისათვის:
ა) ვეტერინარული დაწესებულება;
ბ) თავშესაფარი;
გ) საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფარი;
დ) დროებითი მოთავსების ობიექტი (სასტუმრო);

ე) საშენი;
ვ) კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულება;
ზ) რეალიზატორი.

მუხლი 13. ცხოველთა ვეტერინარული მომსახურება

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქვეყანაში ვეტერინარული კეთილსაიმედოობისა და ზოონოზური დაავადებისაგან მოსახლეობის დაცვის მიზნით ამ კანონით განსაზღვრული სხვა პირების გარდა დაავადებათა პროფილაქტიკასა და მკურნალობას ახორციელებს ვეტერინარული დაწესებულება.

2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ცხოველს ვეტერინარული მომსახურება (ვაქცინაცია, ქირურგიული ოპერაცია, ევთანაზია და სხვ.) უტარდება მხოლოდ ვეტერინარის ან ვეტერინარი ტექნიკოსის მიერ.

3. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ვეტერინარული მომსახურება (ქირურგიული ოპერაცია და სხვ.), რომელიც იწვევს ცხოველის ძლიერ ტკივილს ხორციელდება მხოლოდ ანესთეზიით. აკრძალულია მტკივნეული პროცედურის ჩატარება მიორელაქსანტით.

4. აკრძალულია არასამკურნალო მიზნით ან ფუნქციური დანიშნულების გარეშე ცხოველებისათვის ვეტერინარული ოპერაციების ჩატარება, კერძოდ:

ა) ყურების კუპირება;

ბ) ყბის ძვლის კუპირება;

გ) კუდის კუპირება;

დ) ეშვების მოცილება;

ე) კლანჭების ოპერაციული ამოკვეთა;

ვ) სმენის დაქვეითება;

ზ) ხმის იოგების გადაჭრა.

5. ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია ცხოველის (ძაღლი, კატა) მიღებისთანავე გადაამოწმოს მისი იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში.

6. თუ ცხოველის (ძაღლი, კატა) შესახებ ინფორმაცია არ არის შეტანილი მონაცემთა ერთიან ბაზაში, ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია თავად უზრუნველყოს პატრონიანი ცხოველის (ძაღლი, კატა) იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია. ნარევი (მეტისი) ჯიშის ცხოველის (ძაღლი, კატა) შემთხვევაში, რომელიც არ არის კასტრირებულ/სტერილიზებული, აცნობოს მეპატრონეს აღნიშნული ვალდებულების შესახებ და შესაბამისი აღნიშვნა შეიტანოს მონაცემთა ერთიან ბაზაში.

7. მიკედლებული/უპატრონო ცხოველის (ძაღლი, კატა) მიღების შემთხვევაში, ვეტერინარული დაწესებულება უფლებამოსილია თავად უზრუნველყოს ცხოველის (ძაღლი, კატა) იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, კასტრაცია-სტერილიზაცია და

ანტირაბიული ვაქცინაცია, ხოლო ამ პროცედურების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს ამ კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით.

8. თუ ცხოველს (ძაღლი, კატა) ესაჭიროება გადაუდებელი ვეტერინარული მომსახურება, ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია მხოლოდ ასეთი მომსახურების გაწევის შემდგომ უზრუნველყოს ცხოველის (ძაღლი, კატა) იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია ამ კანონის მე-20 მუხლით დადგენილი წესით.

9. ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია ცხოველის ვაქცინაციის შესახებ ინფორმაცია შეიტანოს მონაცემთა ერთიან ბაზაში, ხოლო მეპატრონის მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე, ვეტერინარულ პასპორტში.

10. ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია ამ კანონის 25-ე მუხლით დადგენილი წესით განხორციელებული ევთანაზიის ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს ინფორმაციის მონაცემთა ერთიან ბაზაში შეტანის მიზნით.

11. ვეტერინარული დაწესებულება უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოსთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ვეტერინარული მომსახურება გაუწიოს მიკედლებულ/უპატრონო ცხოველს.

12. ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია იყოს აქტიურ კომუნიკაციასა და კოორდინაციაში შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, მათ შორის, ინფორმაციის დროული გაცვლის გზით ზოონოზური დაავადებების გავრცელების თავიდან ასარიდებლად.

მუხლი 14. კერძო თავშესაფარი და მისი საქმიანობის ფარგლები

1. ცხოველთა კეთილდღეობის დაცვის მიზნით, ცხოველთა დროებით განთავსებასა და მოვლა-პატრონობას უზრუნველყოფს კერძო თავშესაფარი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კერძო თავშესაფრის შექმნა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

3. კერძო თავშესაფარი ვალდებულია ცხოველის (ძაღლი, კატა) მიღებისთანავე გადაამოწმოს მისი იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის შემდეგ, ცხოველი დაუყოვნებლივ უნდა შემოწმდეს ვეტერინარის მიერ.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემოწმების საფუძველზე ვეტერინარის გადაწყვეტილებით, ცხოველი შესაძლოა განთავსდეს კარანტინში/იზოლაციაში.

6. ცხოველის მიერ სხვა ცხოველის ან ადამიანის დაკბენის/დადორბვლის/დაკაწვრის შემთხვევაში, ცხოველი უნდა განთავსდეს კარანტინში/იზოლაციაში არანაკლებ 10 დღის ვადით.

7. თუ ცხოველის (ძაღლი, კატა) შესახებ ინფორმაცია არ არის შეტანილი მონაცემთა ერთიან ბაზაში, კერძო თავშესაფარი უფლებამოსილია თავად უზრუნველყოს ცხოველის (ძაღლი,

კატა) იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, კასტრაცია-სტერილიზაცია და ანტირაბიული ვაქცინაცია, ხოლო ამ პროცედურების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, კერძო თავშესაფარი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს ამ კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით.

8. თუ ცხოველს (ძაღლი, კატა) ესაჭიროება გადაუდებელი ვეტერინარული მომსახურება, კერძო თავშესაფარი ვალდებულია მხოლოდ ასეთი მომსახურების გაწევის შემდგომ უზრუნველყოს ცხოველის (ძაღლი, კატა) იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია ამ კანონის მე-20 მუხლით დადგენილი წესით.

9. კერძო თავშესაფარი უფლებამოსილია იდენტიფიცირებულ-რეგისტრირებულ, კასტრირებულ/სტერილიზებულ და ვაქცინირებულ (ანტირაბიული ვაქცინაცია) ცხოველს (ძაღლი, კატა) მოუძიოს მეპატრონე/მიმკედლებელი.

10. კერძო თავშესაფარი უფლებამოსილია შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მომსახურება გაუწიოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს, მათ შორის, ცხოველთა (ძაღლი, კატა) პოპულაციის მართვასა და დროებით შეფარებაში.

11. კერძო თავშესაფარს უფლება აქვს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოში ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში, თავის ტერიტორიაზე მოაწყოს საშენი ამ კანონის მე-17 მუხლით დადგენილი წესით.

12. კერძო თავშესაფარი უფლებამოსილია განახორციელოს ამ კანონის მე-19 მუხლით განსაზღვრული სარეალიზაციო საქმიანობა.

13. კერძო თავშესაფარი ვალდებულია იყოს აქტიურ კომუნიკაციასა და კოორდინაციაში შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, მათ შორის, სადეზინფექციო ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა ღონისძიებების ჩატარების გზით ცოფის ან სხვა ზოონოზური დაავადებების გავრცელების თავიდან ასარიდებლად.

მუხლი 15. ზოგადი მოთხოვნები თავშესაფრისადმი

1. ცხოველთა კეთილდღეობისა და მოვლა-პატრონობის დაცვის მიზნით, თავშესაფარი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა;

ბ) ცხოველის კვება-დაწყურვება;

გ) ცხოველის განსათავსებელი სივრცის განათება და დათბუნება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების დაცვა.

2. თავშესაფარი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად მოაწყოს:

ა) ვოლიერები და ვეტერინარული სივრცე შესაბამისი პროცედურების ჩასატარებლად;

ბ) ვოლიერი, სადაც განთავსდება ცხოველი ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენამდე, განკურნებამდე, თავშესაფრიდან გაყვანამდე ან ევთანაზიამდე. ვოლიერი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ბ.ა) ვოლიერის სივრცე უნდა აძლევდეს ცხოველს (ძაღლი, კატა) გადაადგილებისა და საკვების მიღების საშუალებას;

ბ.ბ) ვოლიერი არ უნდა იყოს ოთხმხრივად დახურული და ცხოველს არ უნდა ეზღუდებოდეს თავისუფალი სივრცის ხედვის საშუალება.

გ) საკარანტინო სივრცე ცხოველთა იზოლაციის უზრუნველსაყოფად;

დ) გასასეირნებელი სივრცე ცხოველთა სათანადო ფიზიკური აქტივობის უზრუნველსაყოფად;

ე) სხვა სავალდებულო ინფრასტრუქტურა.

მუხლი 16. საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფარი და დროებითი მოთავსების ობიექტი (სასტუმრო)

1. ცხოველთა კეთილდღეობის დაცვის მიზნით, ცხოველთა დროებით განთავსებასა და მოვლა-პატრონობას უზრუნველყოფს საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფარი და დროებითი მოთავსების ობიექტი (სასტუმრო) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფარი და ცხოველთა დროებითი მოთავსების ობიექტი (სასტუმრო) ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა;

ბ) ცხოველის კვება-დაწყურვება;

გ) ცხოველის განსათავსებელი სივრცის განათება და დათბუნება.

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

3. დროებითი მოთავსების ობიექტს (სასტუმრო) არ აქვს უფლება მომსახურება გაუწიოს ცხოველს (ძაღლი, კატა), რომელიც არ არის რეგისტრირებული მონაცემთა ერთიან ბაზაში.

4. საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფრისა და ცხოველთა დროებითი მოთავსების ობიექტის (სასტუმრო) მოწყობა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინაში დასაშვებია ბინათმესაკუთრეთა უმრავლესობის თანხმობის საფუძველზე.

5. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინაში არსებულ ცხოველთა დროებითი მოთავსების ობიექტში (სასტუმრო) არ შეიძლება ერთდროულად განთავსდეს ერთი სახეობის 15-ზე მეტი ცხოველი.

მუხლი 17. საშენი და მისი საქმიანობის ფარგლები

1. ცხოველთა კეთილდღეობის დაცვისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფის მიზნით ძაღლისა და კატის მიზნობრივ და გეგმაზომიერ გამრავლებას ახორციელებს საშენი.

2. საშენი ვალდებულია გაიაროს ავტორიზაცია შესაბამის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოში და აიღოს ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გაცემის საფასურის ოდენობა შეადგენს 20 ლარს.

3. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ავტორიზაციის მოქმედების ვადაა სამი წელი.

4. საშენის ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა განთავსდეს მომხმარებლისათვის თვალსაჩინო ადგილას.

5. ძაღლისა და კატის მიზნობრივი და გეგმაზომიერი გამრავლების უზრუნველყოფის მიზნით, საშენი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) ამ კანონის მე-15 მუხლით დადგენილ მოთხოვნების დაცვა;

ბ) ამ კანონის 21-ე მუხლით დადგენილი ძაღლისა და კატის გამრავლებასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვა;

გ) სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა;

დ) ცხოველის კვება-დაწყურვება;

ე) ცხოველის განსათავსებელი სივრცის განათება და დათბუნება.

ვ) ნაყარის მიღების შემთხვევაში, შესაბამისი სივრცის მოწყობა.

ზ) გასამრავლებელი ძაღლების და მიღებული ნაყარის დოკუმენტური აღრიცხვის წარმოება რეესტრში.

თ) ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის, ყოველი წლის ბოლოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოსთვის მიწოდება;

ი) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს ან/და სააგენტოს მიმართვის საფუძველზე მოთხოვნილი ინფორმაციის წარდგენა;

კ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების შესრულება.

6. საშენი ვალდებულია ცხოველის (ძაღლი, კატა) მიღებისთანავე გადაამოწმოს მისი იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში.

7. თუ ცხოველის (ძაღლი, კატა) შესახებ ინფორმაცია არ არის შეტანილი მონაცემთა ერთიან ბაზაში, საშენი ვალდებულია თავად უზრუნველყოს ცხოველის (ძაღლი, კატა) იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია.

8. საშენი ვალდებულია უზრუნველყოს ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ რეესტრში აღრიცხული ნაყარის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია ამ კანონის მე-20 მუხლით დადგენილი წესით, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში აცნობოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს.

9. საშენი უფლებამოსილია განახორციელოს ამ კანონის მე-19 მუხლით განსაზღვრული სარეალიზაციო საქმიანობა.

10. საშენი ვალდებულია იყოს აქტიურ კომუნიკაციასა და კოორდინაციაში შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, მათ შორის, მონიტორინგის განხორციელების მიზნით შეუფერხებლად დაუშვას საშენის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოსა ან/და სააგენტოს წარმომადგენლები.

მუხლი 18. კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულება და მისი საქმიანობის ფარგლები

1. ცხოველთა კეთილდღეობის დაცვის, მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის მართვის მიზნით, ცხოველთა მართვის სფეროში საკონსულტაციო მომსახურებას, ცხოველის წვრთნას, გამოფენის ორგანიზება/ჩატარებასა და სხვა სახის მომსახურებას უზრუნველყოფს კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. კინოლოგიური და ფელინოლოგიური დაწესებულება ვალდებულია ცხოველის (ძაღლი, კატა) მიღებისთანავე გადაამოწმოს მისი იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში.

3. კინოლოგიური და ფელინოლოგიური დაწესებულება არ არის უფლებამოსილი მომსახურება გაუწიოს ცხოველს (ძაღლი, კატა), რომელიც არ არის რეგისტრირებული მონაცემთა ერთიან ბაზაში.

4. ცხოველთა კეთილდღეობის დაცვის მიზნით, კინოლოგიური და ფელინოლოგიური დაწესებულება უფლებამოსილია უზრუნველყოს:

ა) დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე ძაღლის/კატის ჯიშიანობასა და გამრავლებაზე ვარგისიანობის შესახებ ცნობის გაცემა;

ბ) ძაღლის/კატის თითოეული ჯიშის ფიზიკური მახასიათებლებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით დატვირთვა, საერთაშორისოდ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;

გ) ძაღლის/კატის მოვლა-პატრონობის, გამრავლების, კვების, სელექციის, ფიზიოლოგიური თავისებურებებისა და ქცევის შესწავლასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება;

დ) ძაღლის/კატის წვრთნა (ინდივიდუალური და სპორტული წვრთნა), ქცევის კორექცია;

ე) ძაღლის/კატის მდგომარეობის შეფასება და გადამეტებული აგრესიის დადგენა;

ვ) ძაღლის/კატის გამოფენების ორგანიზება/ჩატარება;

ზ) სასწავლო კურსებისა და ტრენინგ მოდულების ორგანიზება/ჩატარება.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ცნობად არ ჩაითვლება დოკუმენტი, რომელშიც არ არის ინფორმაცია ძაღლის/კატის წინაპრებზე.

6. ცხოველთა კეთილდღეობის დაცვის მიზნით, კინოლოგიური და ფელინოლოგიური დაწესებულება ვალდებულია დაიცვას ზოგადი მოთხოვნები ცხოველის საარსებო გარემოსადმი და უზრუნველყოს:

ა) სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა;

ბ) ცხოველის კვება-დაწყურვება;

გ) შესაბამისი საწვრთნელი სივრცის გამოყოფა.

7. კინოლოგიურ/ფელინოლოგიურ დაწესებულებას უფლება აქვს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოში ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში, თავის ტერიტორიაზე მოაწყოს საშენი ამ კანონის მე-17 მუხლით დადგენილი წესით.

8. კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს ამ კანონის მე-19 მუხლით განსაზღვრული სარეალიზაციო საქმიანობა.

9. კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულება ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით, ვალდებულია იყოს აქტიურ კომუნიკაციასა და კოორდინაციაში შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, მათ შორის, ინფორმაციის დროული გაცვლის გზით.

მუხლი 19. რეალიზატორი და მისი საქმიანობის ფარგლები

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ცხოველთა კეთილდღეობის დაცვისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად ცხოველის გაყიდვას ახორციელებს რეალიზატორი.

2. რეალიზატორი ვალდებულია მარეგისტრირებელი ორგანოსათვის მიმართვის გზით უზრუნველყოს ცხოველის (ძაღლი, კატა) იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია ამ კანონის მე-20 მუხლით დადგენილი წესით.

3. რეალიზატორი ვალდებულია გასაყიდად ცხოველის (ძაღლი, კატა) მიღებისთანავე გადაამოწმოს მისი იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში.

4. რეალიზატორი არ არის უფლებამოსილი გასაყიდად ჰყავდეს ცხოველი (ძაღლი, კატა), რომელიც არ არის რეგისტრირებული მონაცემთა ერთიან ბაზაში.

5. ცხოველთა კეთილდღეობის დაცვისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფის მიზნით, რეალიზატორი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ცხოველთა კვება-დაწყურვება, განსათავსებელად საცხოვრებელი ფართის გამოყოფა, რეგულარული გასეირნება;

ბ) უზრუნველყოს ცხოველთა ვეტერინარული ზედამხედველობა, ცოფისა და სხვა საშიში დაავადებების საწინააღმდეგო დროული ვაქცინაცია;

გ) უზრუნველყოს სარეალიზაციო ობიექტის ტერიტორიაზე ცხოველებისათვის და ადამიანებისათვის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა, ტერიტორიის რეგულარული დასუფთავება და დეზინფექცია;

დ) სარეალიზაციო ობიექტის ტერიტორიაზე არ დაუშვას არავაქცინირებული (ანტირაბიული ვაქცინაცია) ან/და საშიში (მათ შორის ზოონოზური) დაავადების მქონე შინაური ბინადარი ცხოველი;

ე) არ დაუშვას ორი თვის ასაკამდე ლეკვის დედისგან დაშორება რეალიზაციის მიზნით.

ვ) უზრუნველყოს სარეალიზაციო ობიექტზე შემოყვანისა და გაყიდვის აღრიცხვა;

ზ) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს ან/და სააგენტოს მიმართვის საფუძველზე წარადგინოს მოთხოვნილი ინფორმაცია;

6. დაუშვებელია სარეალიზაციო ობიექტის მოწყობა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინაში.

7. რეალიზატორი ვალდებულია იყოს აქტიურ კომუნიკაციასა და კოორდინაციაში შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, მათ შორის, ინფორმაციის დროული გაცვლის გზით ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 20. ცხოველთა (ძაღლი, კატა) იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია

1. ცხოველთა კეთილდღეობის დაცვისა და მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით, მარეგისტრირებელი ორგანო ახორციელებს ცხოველის (ძაღლი, კატა) იდენტიფიკაციასა და რეგისტრაციას მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელსაც მართავს სააგენტო.
2. მონაცემთა ერთიანი ბაზის მიზანია:
ა) ცხოველების (ძაღლი, კატა) რაოდენობის დადგენა, თითოეულ მათგანზე ინფორმაციის მოძიება და აღრიცხვა, მათი მეპატრონეებისა და მიმკედლებლების დადგენა/რეგისტრაცია;
ბ) ცხოველებისგან ადამიანებზე გადამდები, განსაკუთრებით საშიში დაავადებების გავრცელების პრევენცია;
გ) მეპატრონის მიერ ცხოველის (ძაღლი, კატა) მიტოვების პრევენცია;
დ) დაკარგული ცხოველების (ძაღლი, კატა) მოძებნა, მათი იდენტიფიცირება და მეპატრონისთვის დაბრუნება.
3. მონაცემთა ერთიან ბაზაში შეიტანება იდენტიფიცირებული ცხოველის (ძაღლი, კატა) შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

ა) ცხოველის სახეობა, სქესი, დაბადების თარიღი, სახელი, გარეგნობის აღწერა, შეფერილობა, ფოტოსურათი, ჩიპის ნომერი;
ბ) კასტრაცია/სტერილიზაციისა და ვაქცინაციის შესახებ;
გ) მეპატრონის/მიმკედლებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, საცხოვრებელი მისამართი.

4. უპატრონო ცხოველის (ძაღლი, კატა) იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო მის სისტემაში შემავალი თავშესაფრის მეშვეობით ან მესამე პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.
5. პატრონიანი/მიკედლებული ცხოველის (ძაღლი, კატა) იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას უზრუნველყოფს მეპატრონე/მიმკედლებელი მის იურიდიულ ან ფაქტობრივ საცხოვრებელ მისამართზე.
6. ცხოველის (ძაღლი, კატა) მეპატრონის/მიმკედლებლის ცვლილების შემთხვევაში, ახალი მეპატრონის/მიმკედლებლის რეგისტრაციის მიზნით სავალდებულოა ცვლილების შეტანა მონაცემთა ერთიან ბაზაში.
7. საიდენტიფიკაციო საშუალების დაკარგვის/დაზიანების შემთხვევაში, მეპატრონე/მიმკედლებელი ვალდებულია მიმართოს მარეგისტრირებელ ორგანოს ცხოველის (ძაღლი, კატა) განმეორებითი იდენტიფიკაციისათვის.

მუხლი 21. პატრონიან ცხოველთა (ძაღლი, კატა) გამრავლება და პოპულაციის მართვა

1. ცხოველთა კეთილდღეობის დაცვის, მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფისა და პოპულაციის მართვის მიზნით პატრონიან ცხოველთა (ძაღლი, კატა) გამრავლება უნდა იყოს მიზნობრივი და გეგმაზომიერი.

2. ცხოველის (ძაღლი, კატა) გამრავლების უფლება აქვს მხოლოდ ამ კანონის მე-17 მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად ავტორიზებულ საშენს.

3. მეპატრონე, რომელიც დაინტერესებულია ცხოველის (ძაღლი, კატა) გამრავლებით, ვალდებულია მიმართოს საშენს და წარუდგინოს შემდეგი ცნობები:

ა) ცხოველის ჯანმრთელობის შესახებ ვეტერინარული დაწესებულებიდან;

ბ) ცხოველის ჯიშიანობასა და გამრავლებაზე ვარგისიანობის შესახებ კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულებიდან.

4. მეპატრონე, რომელიც დაინტერესებულია მომეტებული რისკის ჯიშის ძაღლის გამრავლებით ვალდებულია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ცნობების გარდა, წარუდგინოს საშენს ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები.

5. ცხოველის (ძაღლი, კატა) მიზნობრივი და გეგმაზომიერი გამრავლების უზრუნველსაყოფად აკრძალულია:

ა) ნარევი (მეტისი) ცხოველის (ძაღლი, კატა) გამრავლება, გარდა სელექციის შემთხვევისა;

ბ) ცხოველის (ძაღლი, კატა) გამრავლება, რომელიც არ არის იდენტიფიცირებული და რეგისტრირებული მონაცემთა ერთიან ბაზაში;

გ) გენეტიკური დაავადების მქონე ცხოველის (ძაღლი, კატა) გამრავლება;

დ) თვრამეტ თვემდე და რვა წლის ზემოთ ასაკის ძაღლის გამრავლება;

ე) გარეული ცხოველის შეჯვარება შინაურ ბინადარ ცხოველთან;

ვ) ძუ ძაღლების გამრავლება წელიწადში ორჯერ ან მეტჯერ;

ზ) ორი თვის ასაკამდე ლეკვის დედისგან მოშორება.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი აკრძალვების გარდა, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია დაადგინოს მომეტებული/პოტენციურად მომეტებული რისკის ჯიშის ძაღლის გამრავლების დროებითი აკრძალვები ძაღლის მიზნობრივი და გეგმაზომიერი გამრავლების უზრუნველსაყოფად.

7. მეპატრონე ვალდებულია უზრუნველყოს ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცხოველის (ძაღლი, კატა) კასტრაცია/სტერილიზაცია ცხოველის (ძაღლი, კატა) იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ვალდებულების წარმოშობიდან სამი თვის ვადაში, ამ მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

8. ძუ ცხოველის (ძაღლი, კატა) სტერილიზაცია დასაშვებია ოთხი თვის ასაკიდან, ხოლო ხვადი ცხოველის (ძაღლი, კატა) კასტრაცია დასაშვებია ერთი წლის ასაკიდან.

9. დაუშვებელია ცხოველის (ძაღლი, კატა) სტერილიზაცია/კასტრაცია:

ა) რვა წლის ასაკიდან;

ბ) სამედიცინო ჩვენების საფუძველზე სტერილიზაციის/კასტრაციის შეუძლებლობის შემთხვევაში.

მუხლი 22. უპატრონო ცხოველების (ძაღლი, კატა) პოპულაციის მართვა

1. უპატრონო/მიკედლებული ცხოველის (ძაღლი, კატა) კეთილდღეობისა და პოპულაციის მართვის მიზნით, მუნიციპალური თავშესაფარი უზრუნველყოფს ცხოველის (ძაღლი, კატა) გამრავლების შემცირებას სტერილიზაცია/კასტრაციის გზით.
2. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია დაიჭიროს უპატრონო/მიკედლებული ცხოველი (ძაღლი, კატა) და იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, კასტრაცია/სტერილიზაციისა და ანტირაბიული ვაქცინაციის მიზნით გადაიყვანოს მუნიციპალურ თავშესაფარში.
3. პოპულაციის მართვის უზრუნველსაყოფად, მუნიციპალური თავშესაფარი ვალდებულია განახორციელოს უპატრონო/მიკედლებული ცხოველის (ძაღლი, კატა):

ა) ჰუმანური მეთოდით დაჭერა და იზოლაცია;
ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობის (ვეტერინარული გამოკვლევა) და ქცევითი თავისებურებების დადგენა;
გ) იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია;
დ) სტერილიზაცია/კასტრაცია, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა აღნიშნულის შესაძლებლობას იძლევა;
ე) პოსტოპერაციული რეაბილიტაცია;
ვ) ანტირაბიული ვაქცინაცია;
ზ) საჭიროების შემთხვევაში დეჰელმინთიზაცია ან/და კომპლექსური ვაქცინაცია.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მეძუძური ცხოველის (ძაღლი, კატა) დაჭერა დასაშვებია მხოლოდ ნაყართან ერთად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეძუძურ ცხოველს ესაჭიროება გადაუდებელი ვეტერინარული მომსახურება.
5. მუნიციპალური თავშესაფარი ვალდებულია ცხოველის (ძაღლი, კატა) მიღებისთანავე გადაამოწმოს მისი იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში.
6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის შემდეგ, ცხოველი დაუყოვნებლივ უნდა შემოწმდეს ვეტერინარის მიერ და ჩაუტარდეს ვეტერინარული გამოკვლევა.
7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემოწმების საფუძველზე თავშესაფრის ვეტერინარის გადაწყვეტილებით, ცხოველი შესაძლოა განთავსდეს კარანტინში/იზოლაციაში.
8. ცხოველის მიერ სხვა ცხოველის ან ადამიანის დაკბენის/დადორბვლის/დაკაწვრის შემთხვევაში ცხოველი უნდა განთავსდეს კარანტინში/იზოლაციაში არანაკლებ 10 დღის ვადით.
9. მუნიციპალური თავშესაფარი ვალდებულია მოუძიოს ცხოველს (ძაღლი, კატა) მეპატრონე/მიმკედლებელი, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში,

დაარეგისტრიროს ცხოველი (ძაღლი, კატა), როგორც უპატრონო ამ კანონის მე-20 მუხლით დადგენილი წესით და დააბრუნოს ის პირვანდელი ბინადრობის არეალში თუ:
ა) ვერ დგინდება ცხოველის მეპატრონე/მიმკედლებელი;
ბ) მეპატრონე ამ კანონით განსაზღვრული სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების გამო უარს აცხადებს ცხოველის დაბრუნებაზე.
10. მუნიციპალური თავშესაფარი ვალდებულია იყოს აქტიურ კომუნიკაციასა და კოორდინაციაში სააგენტოსთან, მათ შორის, სადეზინფექციო ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა ღონისძიებების ჩატარების გზით ცოფის ან სხვა ზოონოზური დაავადებების გავრცელების თავიდან ასარიდებლად.

მუხლი 23. ცხოველთა მიმართ არასათანადო და სასტიკი მოპყრობა

1. დაუშვებელია ცხოველისადმი არასათანადო ან სასტიკი მოპყრობა ან ასეთი ქმედების ხელშეწყობა, მათ შორის:

ა) ცხოველის ცემა;

ბ) ცხოველის მუდმივ დაბმულ მდგომარეობაში ყოლა;

გ) ავტოსაგზაო შემთხვევის დროს, ცხოველის განზრახ დაზიანება;

დ) ცხოველის იმგვარი ფიზიკური დატვირთვა, რაც იწვევს მის ტანჯვას;

ე) ცხოველის მოწოდება აგრესიისკენ და წახალისება სხვა ცხოველის ან/და ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის საწინააღმდეგოდ;

ვ) არასამკურნალო მიზნით ან ფუნქციური დანიშნულების გარეშე ამ კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ა-ზ“ ქვეპუნქტებით განსზღვრული ვეტერინარული ოპერაციების ჩატარება;

ზ) ცხოველისათვის ჭრილობის მიყენება, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობისათვის;

თ) ცხოველის გამოყენება სამეცნიერო ექსპერიმენტებისთვის და მათზე ლაბორატორიული ცდების ჩატარება, გარდა ,,ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონით'' გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ი) ცხოველთა ორთაბრძოლის ორგანიზება, ჩატარება, პროპაგანდა და ამ მიზნით:

ი.ა) ინფორმაციის გავრცელება;

ი.ბ) ცხოველის წვრთნა და მომზადება;

ი.გ) უძრავი ქონების გამოყენება ან გადაცემა სხვა პირისთვის;

ი.დ) ორთაბრძოლის ვიდეო და ფოტო გამოსახულებების გადაღება ან/და გავრცელება;

ი.ე) ეკონომიკური სარგებლის მიღება.

კ) სხვა ქმედება, რომელიც იწვევს ცხოველის ტანჯვას.

2. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა არ ვრცელდება საჯარო დაწესებულებისთვის განკუთვნილ ფუნქციური დანიშნულების ძაღლზე.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებით.

მუხლი 24. ცხოველის (ძაღლი, კატა) გასეირნება, მგზავრობა და ღონისძიებებში გამოყენება

1. ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის, ადამიანისა და ცხოველის თანაარსებობის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, ცხოველის (ძაღლი, კატა) გასეირნება, მგზავრობა და ღონისძიებებში გამოყენება უნდა განხორციელდეს ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ცხოველის (ძაღლი) გასეირნება ღია სივრცეში, მათ შორის, ბულვარში, პარკში ან სკვერში (გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა) დაიშვება მხოლოდ ალიკაპის ან საბლის გამოყენებით.
3. ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის, ადამიანისა და ცხოველის თანაარსებობის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, აკრძალულია:
ა) მომეტებული რისკის ჯიშის ძაღლის გასეირნება 18 წლამდე ასაკის პირის მიერ;
ბ) ცხოველის შეყვანა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლესი საგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე, სასურსათო მაღაზიაში, აფთიაქში, საავადმყოფოში, საბავშვო და სპორტულ მოედანზე;
4. ცხოველთან (ძაღლი, კატა) ერთად მგზავრობა მიწისქვეშა ელექტრო ტრანსპორტით (მეტრო), საბაგირო გადაყვანისას, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას M_2 და M_3 კატეგორიის ავტობუსით და საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას დასაშვებია, ერთდროულად საბელის და ალიკაპის გამოყენებით, ხოლო კატებისა და მცირე ზომის ძაღლების შემთხვევაში - სპეციალური გადამყვანის (კონტეინერის, ჩანთის) მეშვეობით.
5. ცხოველის გამოყენება სპორტულ, კულტურულ ან გასართობ ღონისძიებაში (მათ შორის ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით) დასაშვებია ცხოველის სახეობრივი/ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მათთვის ზიანის მიყენების გარეშე.
6. ცხოველის სპორტული, კულტურული ან გასართობი ღონისძიების განხორციელება საზოგადოებრივ სივრცეებში ნებადართულია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოსთან წინასწარ შეთანხმებულ ტერიტორიაზე.

7. ის საზოგადოებრივი დაწესებულება, სადაც განთავსებულია ცხოველის დაშვების ამკრძალავი ნიშანი, ვალდებულია მიმდებარე ტერიტორიაზე უზრუნველყოს ცხოველის მისაბმელის განთავსება.

8. ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის, ადამიანისა და ცხოველის თანაარსებობის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია:

ა) დამატებით განსაზღვროს ადგილები, სადაც არ დაიშვება ძაღლის ყოფნა;

ბ) განსაზღვროს სპეციალურად გამოყოფილი ადგილები, სადაც დასაშვებია ცხოველის (ძაღლი) გასეირნება ალიკაპისა და საბლის გარეშე.

მუხლი 25. ცხოველთა ევთანაზია

1. აკრძალულია ცხოველის ევთანაზია არაჰუმანური მეთოდებით.

2. ევთანაზია უნდა განხორციელდეს ცხოველისთვის ფიზიკური ტკივილისა და ტანჯვის მიყენების გარეშე, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ან მასთან გათანაბრებული სამკურნალო ნივთიერებებით.

3. ევთანაზია უნდა განხორციელდეს მხოლოდ ვეტერინარის ან მისი ზედამხედველობით, ვეტერინარი ტექნიკოსის მიერ, ვეტერინარის დასკვნის საფუძველზე, რომელიც მზადდება კლინიკური კვლევებზე ან/და ვეტერინარულ დაკვირვებაზე დაყრდნობით.

4. ევთანაზიის საფუძვლებია:

ა) ცხოველის არაკორექტირებადი აგრესიული ქცევა, რომელიც არ იძლევა სხვა ცხოველებთან ან/და ადამიანთან მისი თანაარსებობის საშუალებას, მათ შორის, იდიოპათიური აგრესია (მყისიერი სიბრაზის სინდრომი) და დაკბენა, რაც არ არის პროვოცირებული ცხოველისადმი აგრესიით ან არასათანადო მოპყრობით;

ბ) ცხოველის სრული დამბლა, პარეზი ან/და სხვა განუკურნებელი დაავადება;

გ) ცოფით დაინფიცირებაზე საეჭვო შემთხვევა;

დ) ცხოველის და ადამიანის ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით საშიში დაავადება;

ე) ცხოველის ისეთი ტრავმა ან/და დაზიანება, რომელიც სიცოცხლესთან შეუთავსებელია;

ვ) ცხოველის შეუქცევადი დაუძლურება;

ზ) სიცოცხლესთან შეუთავსებელი თანდაყოლილ ნაკლი.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებების დადგენისთვის აუცილებელია დასკვნა კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულებიდან.

6. ევთანაზიის პროცედურის შემდეგ, ვეტერინარი უნდა დარწმუნდეს, რომ ცხოველი მკვდარია, რის შემდგომაც დასაშვებია მისი ლეშის განკარგვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

7. ევთანაზიის შემდგომ დასაშვებია ცხოველის პათანატომიური გამოკვლევა.

მუხლი 26. ამ კანონთან დაკავშირებით მისაღები (გამოსაცემი) ნორმატიული აქტები

2025 წლის პირველ იანვრამდე საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს შემდეგი სამართლებრივი აქტების მიღება:

ა) „შინაურ ბინადარ ცხოველთა (ძაღლი, კატა) იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მონაცემთა ერთიანი ბაზის მართვის წესი;

ბ) „შინაურ ბინადარ ცხოველთა (ძაღლი, კატა) პოპულაციების მართვისა და საშენის ავტორიზაციის წესი.

მუხლი 27. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული გარდამავალი დებულებები

1. 2025 წლის პირველ იანვრამდე, საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს:

ა) „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა;
ბ) „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორებისა და აგრარული ბაზრების/ბაზრობების, სადაც ხორციელდება ცოცხალი ცხოველის რეალიზაცია, ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.
2. 2025 წლის პირველ იანვრამდე, მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ შინაურ ბინადარ ცხოველთა (ძაღლი, კატა) მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. 2027 წლის პირველ იანვრამდე, მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ მიკედლებული შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი, კატა) ანტირაბიული ვაქცინაცია.

4. 2025 წლის პირველ ივლისამდე, მეპატრონემ უზრუნველყოს შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი, კატა) იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია ამ კანონით დადგენილი წესით.
5. მეპატრონის მიმართ, რომელსაც 2025 წლის პირველ ივლისამდე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინაში რეგისტრირებული ჰყავს სამზე მეტი შინაური ბინადარი ცხოველი (ძაღლი, კატა), არ ვრცელდება ამ კანონის მე-8 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოქმედება.
6. მეპატრონის მიმართ, რომელსაც 2025 წლის პირველ ივლისამდე რეგისტრირებული ჰყავს ამ კანონის დანართით განსაზღვრული მომეტებული რისკის ჯიშის ძაღლი, არ გავრცელდება ამ კანონის მე-9 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნები.
7. 2025 წლის პირველ ივლისამდე, მიმკედლებელმა უზრუნველყოს მიკედლებული შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი, კატა) იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია.
8. ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული საშენი ვალდებულია, 2025 წლის პირველ ივლისამდე გაიაროს ამ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ავტორიზაცია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოში,
9. ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული დროებითი მოთავსების ობიექტი (სასტუმრო) ვალდებულია, 2025 წლის პირველ ივლისამდე შესაბამისობაში მოვიდეს ამ კანონის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან.
10. ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული სარეალიზაციო ობიექტი ვალდებულია, 2025 წლის პირველ ივლისამდე, შესაბამისობაში მოვიდეს ამ კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.
11. 2025 წლის პირველ თებერვლამდე, მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია მიმართოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სურსათის ეროვნულ სააგენტოს იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის მონაცემთა ერთიან ბაზაზე წვდომის მისაღებად.
12. 2025 წლის პირველ მარტამდე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს

მარეგისტრირებელ ორგანოთა წვდომა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის მონაცემთა ერთიან ბაზაზე.

მუხლი 28. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებისა, მე-2 პუნქტის „ვ“, „ზ“ და „კ“ ქვეპუნქტებისა და მე-4 პუნქტისა, მე-8 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა, მე-9 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა, მე-11 მუხლის პირველი და მესამე პუნქტებისა, მე-13 მუხლის მე-5, მე-6, მე-8-მე-10 პუნქტებისა, მე-14 მუხლის მე-3-მე-5 პუნქტებისა, მე-7-მე-9 პუნქტებისა და მე-11 პუნქტისა, მე-16 მუხლის მე-3-მე-5 პუნქტებისა, მე-17 მუხლისა, მე-18 მუხლის მე-2-მე-3 პუნქტებისა, მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-5 და მე-7 პუნქტებისა, მე-19 მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებისა და მე-6 პუნქტისა, 21-ე მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებისა და მე-7-მე-9 პუნქტებისა ამოქმედდეს 2024 წლის პირველი ივლისიდან.

2. ამ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, მე-2 პუნქტის „ვ“ „ზ“ და „კ“ ქვეპუნქტები, მე-4 პუნქტი, მე-9 მუხლის პირველი პუნქტი, მე-11 მუხლის პირველი პუნქტი და მე-3 პუნქტის „გ“-„ზ“ ქვეპუნქტები, მე-13 მუხლის მე-5, მე-6, მე-8-მე-10 პუნქტები, მე-14 მუხლის მე-3-მე-5 პუნქტები, მე-7-მე-9 პუნქტები და მე-11 პუნქტი, მე-18 მუხლის მე-2-მე-3 პუნქტები, მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-5 და მე-7 პუნქტები, მე-19 მუხლის მე-2-მე-4 პუნქტები, 21-ე მუხლის მე-7-მე-9 პუნქტები ამოქმედდეს 2025 წლის პირველი იანვრიდან.

3. ამ კანონის მე-8 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, მე-9 მუხლის მეორე პუნქტი, მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-16 მუხლის მე-3-მე-5 პუნქტები, მე-17 მუხლი, მე-19 მუხლის მე-6 პუნქტი, 21-ე მუხლის მე-2-მე-4 პუნქტები ამოქმედდეს 2025 წლის პირველი ივლისიდან.

4. ამ კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2027 წლის პირველი იანვრიდან.

დანართი

მომეტებული რისკის ჯიშის ძაღლების ჩამონათვალი:

1. ამერიკული პიტ ბულ ტერიერი ტოსა ინუ;
2. ფილა ბრაზილეირო;
3. ბულტერიერი;
4. ამერიკული სტაფორდშირის ტერიერი;
5. არგენტინული დოგი;
6. ტოსა ინუ;
7. ამერიკული ბულდოგი;
8. კანგალი;

9. კანე კორსო;
10. დობერმანი;
11. კავკასიური ნაგაზი;
12. შუააზიური ნაგაზი;
13. აღმოსავლეთ ევროპული ნაგაზი;
14. ბერძნული ნაგაზი;
15. კრაშის ნაგაზი;
16. გერმანული ნაგაზი;
17. რუმინული ნაგაზი;
18. მასტიფები;
19. ბორდოული დოგი;
20. კანარის დოგი;
21. როტვეილერი;
22. რიზენშნაუცერი;
23. ლეონბერგერი;
24. მარემა;
25. მოსკოვური საყარაულო;
26. კა-დე-ბო (მალიორკის მასტიფი);
27. სტაფორდშირ ბულ ტერიერი;
28. ბანდოგი;
29. გულდონგი;
30. მგლის ჰიბრიდები.